დამტკიცებულია შპს „თელმიკოს“

გენერალური დირექტორის

2026 წლის 24 მარტის N36 ბრძანებით

დანართი N1

ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი ინციდენტის განსაზღვრის კრიტერიუმებისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის ინციდენტის შეტყობინების წესი

პროცესის მფლობელი	**პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი**
დოკუმენტის მფლობელი	**გენერალური დირექტორი**

1. ტერმინთა განმარტებებები და შემოკლებები

ტერმინის დასახელება	შემოკლება	განმარტება
შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია“	შემდგომში _ საზოგადოება ან „თელმიკო“	მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი
ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანო		საზოგადოების გენერალური დირექტორი, ასევე, მისი არყოფნის შემთხვევაში, შესაბამისი აქტით განსაზღვრული მოვალეობის დროებით შემსრულებელი
პერსონალური მონაცემი		ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით;
მონაცემთა სუბიექტი		ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება;
მესამე პირი		ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, გარდა მონაცემთა სუბიექტისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისა, სპეციალური წარმომადგენლისა და იმ პირისა, რომელიც უფლებამოსილია დაამუშაოს მონაცემები დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის პირდაპირი დავალებით;
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი		დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ განსაზღვრული/დანიშნული პირი, რომელიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლით გათვალისწინებულ ფუნქციებს ასრულებს;
ინციდენტი		მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა, რომელიც იწვევს მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას,

ტერმინის დასახელება	შემოკლება	განმარტება
		მათზე წვდომას, მათ შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას

2. ინფორმაცია პროცესის თაობაზე

პროცესის მოკლე აღწერა	წინამდებარე შიდა ნორმატიული დოკუმენტი განსაზღვრავს საზოგადოების მიერ კანონიერად დამუშავებულ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში საზოგადოების თანამშრომელთა მიერ ინფორმაციის მონაცემთა დაცვის ოფიცრისათვის შეტყობინების წესს, ასევე, საზოგადოების ვალდებულებას, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და წინამდებარე „წესის“ მოთხოვნათა დაცვით სახელმწოფო აუდიტის სამსახურის, ასევე, მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების წესსა და პირობებს
კორპორატიული სტანდარტი	არა
დოკუმენტის წვდომის შეზღუდვა	შეზღუდვის გარეშე

3. პასუხისმგებლობა და გამოყენების სფერო

მუხლი 1. მიზანი და რეგულირების სფერო

1. ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი ინციდენტის განსაზღვრის კრიტერიუმებისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ინციდენტის შეტყობინების წესის მიზანია შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელ კომპანიაში“ (შემდგომ - შპს „თელმიკო“ ან საზოგადოება) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ – კანონი) შესაბამისად დაადგინოს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი ინციდენტის (შემდგომ – ინციდენტი) განსაზღვრის კრიტერიუმები, განსაზღვროს ინციდენტის შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირი და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის (შემდგომ – სამსახური) ინციდენტის შეტყობინების პროცედურები.

2. ამ წესის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 2. ინციდენტის ცნება და სახეები

1. ამ წესის მიზნებისთვის, ინციდენტი არის პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა (მათ შორის, საზოგადოებული, ფიზიკური ან ტექნიკური), რომელიც იწვევს პერსონალური მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე, უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, წვდომას, შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას.

2. ინციდენტის სახეებია:

ა) კონფიდენციალურობის დარღვევა – პერსონალური მონაცემების უნებართვო გამჟღავნება ან წვდომა;

ბ) მთლიანობის დარღვევა – პერსონალური მონაცემების უნებართვო შეცვლა, აგრეთვე, არამართლზომიერი ან შემთხვევითი დაზიანება, დაკარგვა;

გ) ხელმისაწვდომობის დარღვევა – პერსონალურ მონაცემებზე წვდომის დაკარგვა, შეზღუდვა, მონაცემების განადგურება ან წაშლა.

მუხლი 3. ინციდენტის შეფასება

1. ინციდენტს შედეგად შესაძლოა მოჰყვეს ფიზიკური, ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური ან არამატერიალური ზიანი.

2. საზოგადოების ნებისმიერმა თანამშრომელმა ინციდენტის აღმოჩენისთანავე უნდა აცნობოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, რომელიც ვალდებულია დაუყოვნებლივ ინციდენტის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოების ერთპიროვნულ აღმასრულებელ ორგანოს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს.

3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერმა ინციდენტის აღმოჩენისთანავე, ამ წესის მე-4 და მე-5 მუხლებით განსაზღვრული გარემოებებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით, უნდა დაიწყოს ინციდენტის შედეგად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევის ან/და მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნის ალბათობისა და სიმძიმის შეფასება.

4. ინციდენტი აღმოჩენილად, ხოლო საზოგადოება ინციდენტის შესახებ ინფორმირებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მან შეიტყო ინციდენტის შესახებ.

5. ინციდენტის შედეგად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევის ან/და მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნის ალბათობა ფასდება ხარისხობრივი ანალიზის საშუალებით, რა დროსაც ობიექტური გადაწყვეტილება მიიღება გამოცდილების, არსებული ინფორმაციის, ცოდნის, განსჯისა და ამ წესით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით.

6. ინციდენტის შედეგად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევის ან/და მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნის ალბათობას აფასებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომლის დასკვნა წარედგინება საზოგადოების ერთპიროვნულ აღმასრულებელ ორგანოს.

7. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი უფლებამოსილია ინციდენტის შეფასების პროცესში გამოკითხოს საზოგადოების თანამშრომელი. საზოგადოების ყველა თანამშრომელი ვალდებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინციდენტთან პირდაპირ ან/და ირიბად დაკავშირებული ინფორმაცია, მონაცემი, დოკუმენტი.

მუხლი 4. ინციდენტის შედეგად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნის სიმძიმის შეფასებისას გასათვალისწინებელი გარემოებები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ინციდენტის შედეგად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისათვის მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნის სიმძიმის განსაზღვრის მიზნებისთვის, გაითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს:

ა) რა სახის ინციდენტს აქვს ადგილი (პერსონალურ მონაცემთა კონფიდენციალურობის, მთლიანობის თუ ხელმისაწვდომობის დარღვევას);

ბ) იმ პერსონალური მონაცემების კატეგორია, რომლებზეც გავლენას ახდენს ინციდენტი;

გ) ეხება თუ არა ინციდენტი არასრულწლოვნის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისა ან სხვა განსაკუთრებული სოციალური თუ სამართლებრივი დაცვის საჭიროების მქონე მონაცემთა სუბიექტის პერსონალურ მონაცემებს;

დ) ინციდენტის შედეგად მონაცემთა სუბიექტის მესამე პირთა მიერ იდენტიფიცირების შესაძლებლობის ხარისხი;

ე) საზოგადოების საქმიანობის განსაკუთრებული ხასიათი, რასაც შესაძლოა ახლდეს მომეტებული საფრთხე;

ვ) ინციდენტის მასშტაბი, მონაცემთა სუბიექტის ან/და პერსონალური მონაცემის რაოდენობის ან/და მოცულობის თვალსაზრისით;

ზ) ნებისმიერი სხვა ისეთი გარემოება, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს ინციდენტის შედეგად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნის ალბათობის სიმძიმეზე.

მუხლი 5. ინციდენტის შედეგად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევის შეფასების კრიტერიუმები

ინციდენტი ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევად უნდა იქნეს მიჩნეული იმ შემთხვევებში, თუ მას მოჰყვა/შესაძლოა მოჰყვეს:

ა) მონაცემთა სუბიექტის დისკრიმინაცია, მისი ვინაობის მითვისება ან გაყალბება, ფინანსური ზიანი, მონაცემთა სუბიექტის რეპუტაციის შელახვა, პროფესიული საიდუმლოებით დაცული პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის დარღვევა, ან სხვა სახის მნიშვნელოვანი სოციალური ან/და ეკონომიკური ზიანი;

ბ) კანონით გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზებისათვის ხელის შეშლა, მათ შორის, მონაცემთა სუბიექტის უფლებების კანონით დადგენილ ვადებში რეალიზების შეზღუდვა;

გ) პერსონალური მონაცემების იმგვარი წაშლა/განადგურება, რომელიც არ ექვემდებარება აღდგენას, ან მისი აღდგენა არაპროპორციულად დიდ დროსა და ძალისხმევას საჭიროებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პერსონალური მონაცემების (გარდა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემისა) დამუშავების მიზნიდან გამომდინარე, მათი წაშლის/განადგურების შედეგად მონაცემთა სუბიექტს ამ მუხლის „ა“, „ბ“, „დ“, და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ან სხვა მნიშვნელოვანი ზიანი არ ადგება;

დ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების უკანონო გამჟღავნება;

ე) არასრულწლოვნის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირისა და სხვა განსაკუთრებული სოციალური თუ სამართლებრივი დაცვის საჭიროების მქონე მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავება.

მუხლი 6. ინციდენტის შედეგად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევის ან/და მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნის ალბათობის განსაზღვრა

1. ინციდენტის შედეგად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევის ან/და მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნის ალბათობა შესაძლოა იყოს დაბალი, საშუალო ან მაღალი.

2. ინციდენტის შედეგად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევის ან/და მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნის ალბათობა არის:

ა) დაბალი, თუ ნაკლებსავარაუდოა, რომ ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს;

ბ) საშუალო, თუ ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევის ან/და მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნისა და ასეთი ზიანის/საფრთხის არარსებობის ალბათობა მეტნაკლებად თანაბარია;

გ) მაღალი, თუ – ინციდენტი დიდი ალბათობით მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

მუხლი 7. ინციდენტის შეტყობინების ვალდებულება

1. საზოგადოების ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანო ვალდებულია ინციდენტის აღმოჩენიდან არაუგვიანეს 72 საათისა მის შესახებ შეატყობინოს სამსახურს კანონისა და ამ წესის შესაბამისად, თუ ინციდენტი საშუალო ან მაღალი ალბათობით მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

2. თუ ინციდენტის სრულყოფილად შეფასება მისი აღმოჩენიდან 72 საათში ვერ ხერხდება, მაგრამ არსებობს გონივრული ეჭვის საფუძველი, რომ საშუალო ან მაღალი ალბათობით ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, საზოგადოება ინციდენტის შესახებ შეატყობინებს სამსახურს.

3. თუ დაბალია ალბათობა, რომ ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ინციდენტის სამსახურისთვის შეტყობინების ვალდებულება არ წარმოიშობა.

მუხლი 8. ინციდენტის აღრიცხვა და შეტყობინება

1. საზოგადოების ხელმძღვანელის წერილობითი დავალებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ინციდენტს სამსახურს ატყობინებს წერილობით ან ელექტრონულად.

2. თუ ინციდენტი შეეხება სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას, საზოგადოების ხელმძღვანელი ინციდენტს სამსახურს ატყობინებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ინციდენტის სამსახურისთვის შეტყობინების მიზნით, საზოგადოების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ავსებს ინციდენტის შეტყობინების ფორმას და წარუდგენს სამსახურს.

4. ინციდენტის აღრიცხვაზე პასუხისმგებელი პირია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

მუხლი 9. ინციდენტის ელექტრონულად შეტყობინება

ინციდენტის ელექტრონული ფორმით შეტყობინება ხორციელდება სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული, ინციდენტის შეტყობინების მართვის ელექტრონულ სისტემაში გენერირებული ფორმის მეშვეობით.

მუხლი 10. ინციდენტის წერილობით შეტყობინება

ინციდენტის წერილობითი შეტყობინების შემთხვევაში შეტყობინება მოიცავს შესაბამის ინფორმაციას:

ა) ინციდენტის გარემოებების, სახისა და დროის შესახებ;

ბ) ინციდენტის შედეგად უნებართვოდ გამჟღავნებული, დაზიანებული, წაშლილი, განადგურებული, მოპოვებული, დაკარგული, შეცვლილი მონაცემების სავარაუდო კატეგორიებისა და რაოდენობის, აგრეთვე იმ მონაცემთა სუბიექტების სავარაუდო კატეგორიებისა და რაოდენობის შესახებ, რომლებსაც ინციდენტის შედეგად შეექმნათ საფრთხე;

გ) ინციდენტით გამოწვეული სავარაუდო ზიანის, მისი შემცირების ან აღმოფხვრის მიზნით დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

დ) იმის შესახებ, გეგმავს თუ არა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, ინციდენტის შესახებ შეატყობინოს მონაცემთა სუბიექტს (მონაცემთა სუბიექტებს) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლით დადგენილი წესით და რა ვადაში;

ე) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მონაცემებს.

4. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ერთიანად და სრულად მიწოდება შეუძლებელია, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს უფლება აქვს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან შეთანხმებით, გონივრულ ვადაში, ეტაპობრივად მიაწოდოს ინფორმაცია

მუხლი 11. ინციდენტის შესახებ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება

1. თუ ინციდენტი მაღალი ალბათობით გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ვალდებულია ინციდენტის აღმოჩენიდან პირველი შესაძლებლობისთანავე, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე აცნობოს მონაცემთა სუბიექტს ინციდენტის შესახებ და მარტივ და მისთვის გასაგებ ენაზე მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ინციდენტისა და მასთან დაკავშირებული გარემოებების ზოგადი აღწერა;

ბ) ინციდენტით გამოწვეული სავარაუდო/დამდგარი ზიანის, მის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

გ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ან/და სხვა პირის საკონტაქტო მონაცემები.

2. თუ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება არაპროპორციულად დიდ ხარჯებს ან ძალისხმევას მოითხოვს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შუამდგომლობით საზოგადოება ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია გაავრცელოს საჯაროდ ან სხვა ისეთი ფორმით, რომელიც ჯეროვნად უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტის მიერ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულება არ წარმოიშობა ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობისას:

ა) ინციდენტის შესახებ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებს, სახელმწიფო უსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ან/და თავდაცვის ინტერესებს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს, დანაშაულის თავიდან აცილებას, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, დანაშაულის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მართლმსაჯულების განხორციელებას, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებას და პრობაციას, ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო), საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინტერესებს;

ბ) საზოგადოებამ მიიღო შესაბამისი უსაფრთხოების ზომები, რის შედეგადაც თავიდან იქნა აცილებული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის მნიშვნელოვანი საფრთხე.

4. საზოგადოების ერთპიროვნული აღმასულებელი ორგანოს დავალებით მონაცემთა სუბიექტს ინციდენტის შესახებ ინფორმაციას აწვდის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

4. დოკუმენტის ვერსიის კონტროლი

ვერსიის ნომერი	ვერსიის შექმნის თარიღი	შნდ-ს შემუშავებაზე პასუხისმგებელი თანამდებობა	პასუხისმგებელი პირი
1	04.03.2025	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი	ლ. ქემოკლიძე

5. ნორმატიული ბმულები

№	დოკუმენტის ნომერი და თარიღი	დოკუმენტის დასახელება
1	**№ 3144-XIმს-Xმპ 14/06/2023**	**„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი**
2	**№ 34 24/03/2026**	**შპს „თელმიკოს“ ცენტრალურ ოფისსა და კლიენტთა მომსახურების ცენტრებში ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი**
3	**№ 35 24/03/2026**	**„აუდიომონიტორინგის წესი“**
4	**№ 37 24/03/2026**	**„პერსონალურ მონაცემთა დაცვის დებულება“**